დამტკიცებულია:

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის

გალობის უნივერსიტეტის“ რექტორის 2023 წლის 08 დეკემბრის

№03 ბრძანებით (დანართი 13)

## ა(ა)იპ “გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“

## ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმის (შემდგომში „გეგმა“) არსებობა უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. უნივერსიტეტის ვალდებულებაა დაიცვას და უწყვეტი მომსახურებით უზრუნველყოს სტუდენტები, ფაკულტეტი, თანამშრომლები და სტუმრები ნებისმიერ დროს, მათ შორის პროცესების მნიშველოვანი, ან უმნიშვნელო შეფერხების შემთხვევაში. გეგმა უზრუნველყოფს ბიზნესპროცესების აღდგენას კრიზისულ სიტუაციებში. გეგმა მოიცავს უნივერსიტეტის ბიზნესოპერაციების ყველა ტექნიკურ და არატექნიკურ სფეროს, მათ შორის კომუნიკაციებს, მონაცემთა შენახვასა და აღდგენას, პროგრამულ სისტემებს, ქსელის ხელმისაწვდომობას, აკადემიურ და სხვა ინსტიტუციონალურ პროცესებსა და ადამიანურ რესურსებს.

გეგმა აყალიბებს მკაფიო გზამკვლევს ყველა ჩვეული ბიზნესპროცესის აღსადგენად, რაც უნივერსიტეტს საშუალებას მისცემს დაუბრუნდეს ,,ჩვეულებრივ საქმიანობას“. გეგმა მოიცავს ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის აუცილებელ პროცესს, რაც მათ საშუალებას მისცემს მინიმუმამდე შეამცირონ დანაკარგები, აღადგინონ შეფერხებული ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელება და გააგრძელონ სტუდენტების, ფაკულტეტისა და პერსონალის მომსახურება. გეგმა დინამიურია - სტრუქტურული და ტექნოლოგიური ცვლილებებიდან გამომდინარე მუდმივად ექვემდებარება განახლებას.

### მუხლი 2. უნივერსიტეტის გეგმის განვითარებისა და შემუშავების ძირითადი ეტაპები

1. უნივერსიტეტის გეგმის განვითარებისა და შემუშავების ძირითადი ეტაპებია:
   ა) ძირითადი ბიზნესპროცესების იდენტიფიცირება და გამიჯვნა;

ბ) გეგმის შემუშავება, იმის დასადგენად, თუ რა ძირითადი პროცესები უნდა აღდგეს;
გ) გეგმის შემუშავება, თუ როგორ უნდა შემცირდეს დანაკარგი საქმიანობის შეფერხების შემთხვევაში;
დ) გეგმის განხორციელება;
ე) გეგმის შემოწმება და პროცესების ცვლილებისას მისი განახლება.

2.უნივერსიტეტის გეგმის ოთხი ძირითადი კომპონენტია:

ა) ბიზნესის ზემოქმედების ანალიზი - - განსაზღვრავს ძირითად ბიზნესპროცესებსა და ,,მოცდენის პერიოდის" ხანგრძლივობის მაქსიმალურ ზღვარს;

ბ)რისკის შეფასება - განსაზღვრავს კონკრეტულ საფრთხეს დაწესებულებაში, ადგენს ,,რისკის ხარისხს", რომელიც თითოეულ პოტენციურ მოვლენას უკავშირდება;

გ) რისკების მართვა - იკვლევს რისკის შეფასების შედეგებს, განსაზღვრავს, თუ რომელი რისკები მოითხოვს სპეციფიკური მართვის განხორციელებას და ადგენს წერილობით, საჯაროდ გავრცელებულ, ხელმისაწვდომ გეგმას, რომელიც ასახავს ბიზნესპროცესების აღსადგენად საჭირო ქმედებებს/აქტივობებს, რომელიც უნდა განხორციელდეს დანაკარგების შემცირებისათვის შეფერხების ფაქტის დადგომის შემთხვევაში;

დ) შემოწმება და განახლება - განსაზღვრავს უნივერსიტეტის მეთოდოლოგიას მუდმივად შეამოწმოს და განაახლოს გეგმა, ასევე გეგმის ცვლილებები გაუზიაროს თანამშრომლებს.

**მუხლი 3. ბიზნესზე ზემოქმედების ანალიზი**

1. ბიზნესზე ზემოქმედების ანალიზი ტარდება ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმვის პროცესში ერთ-ერთ საწყის ეტაპზე. ეს პროცესი მოიცავს ძირითადი ბიზნესის ფუნქციების იდენტიფიკაციას, განსაზღვრავს სავარაუდო ,,მოცდენის პერიოდს".
2. უნივერსიტეტში ძირითადი ბიზნესპროცესების კატეგორიებია:

ა)უსაფრთხოება - ყველა სტუდენტისთვის, ფაკულტეტისთვის, თანამშრომლებისათვის, შენობისა და გარშემომყოფი საზოგადოებისთვის უსაფრთხო აკადემიური გარემოს შენარჩუნება;

ბ) ბიზნესაქმიანობის მხარდამჭერი მოქმედებები - საქმიანობა, რომელიც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს შეინარჩუნოს არსებითი ბიზნესსაქმიანობა, დაიცვას ქონება და უზრუნველყოს დაწესებულების ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა.

**მუხლი 4. რისკის შეფასება**

1. რისკების შეფასება მიმართულია პოტენციურ საფრთხეებსა და საშიშროებაზე, რაც უარყოფითად შეიძლება აისახოს უნივერსიტეტზე და ორინეტირებულია შეაფასოს შემთხვევის დადგომის ალბათობა და გავლენის სიმძიმე. დაუცველობის ანალიზი ბიზნესის პროცესების უწყვეტობის გეგმის საფუძველია და ის გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლებოდა ინსტიტუტს გამოეყენებინა დამატებითი დრო და რესურსები მოსალოდნელი და მძიმე მოვლენების შესამცირებლად და გეგმის შესამუშავებლად.
2. რისკის ალბათობის კატეგორიებია:

| | | |
|---|---|---|
| მაღალი | საშუალო | დაბალი |

3. უნივერსიტეტის საქმიანობაზე რისკის ზეგავლენის კატეგორიებია:

| | | |
|---|---|---|
| მაღალი | საშუალო | დაბალი |

4.შეფერხება სხვადასხვა სიმძიმის შეიძლება იყოს უნივერსიტეტის საქმიანობის განსხვავებული მიმართულებებისთვის: სასწავლო პროცესისთვის; კვლევითი-შემოქმედებითი საქმიანობისთვის; უნივერსიტეტის ადმინისტრირებისთვის. ცალკეული რისკების განხილვისას, სადაც ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გამოყოფილია ყველაზე მეტად კრიტიკული მიმართულებები მოცემული რისკისთვის.

5.წინამდებარე დოკუმენტში რისკებისთვის შეფასებული პარამეტრები (მაგალითად ალბათობა, ზეგავლენა, მოცდენის პერიოდი, ...) მომავალში დაექვემდებარება გადახედვას ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

**მუხლი 5. რისკის მართვა**

უნივერსიტეტის გეგმა ავითარებს განსაზღვრულ სტრატეგიას საფრთხის რეალიზაციისას. ეს სტრატეგიები მოიცავს:

ა) შეფერხებების თავიდან აცილებასა და ქონების დაცვას;

ბ) რისკის რეალიზაციის დროს განსახორციელებელ პროცედურებს;

გ) ინციდენტთან დაკავშირებულ დაგეგმილ რეაგირებას.

**მუხლი 6. განხორციელება, შემოწმება და განხილვა**

შემოწმება მნიშვნელოვანია დაგეგმვისა და განვითარებისთვის რიგი მიზეზების გამო. თუ უნივერსიტეტი არ დაადგენს პროცესების აღდგენისთვის განსაზღვრულ რეალურ დროს, პროცესების შეფერხების შემთხვევაში უნივერსიტეტის საჭიროებებსა და გეგმის ფაქტობრივ პროცედურებს შორის შესაძლოა მოლოდინების ფართო სივრცე წარმოიქმნას.

ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის განხორციელების პროცესის კოორდინირებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. გეგმის განახლება ხორციელდება ყოველწლიურად, ბიზნესპროცესების ცვლილების საჭიროებიდან გამომდინარე.

**მუხლი 7. ძირითადი რისკები**

1. უნივერსიტეტის ოთხი კატეგორიის პოტენციური ბიზნესრისკია:

   ა) ოპერატიული;

   - სასწავლო აუდიტორიების, აღჭურვილობების, სასწავლო რესურსების დაზიანება /განადგურება/დაკარგვა;
   - დასაქმებულთა არყოფნა (გათავისუფლების, შრომითი ურთიერთობების შეჩერების, გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო);
   - კომუნალური მომსახურებების შეწყვეტა (ელექტროენერგია, გათბობა, კონდენცირება, წყალი);
   - ძირითადი მასალების ჩანაწერების განადგურება/მოძიების შეუძლებლობა.

   ბ) ტექნოლოგიური;

   - სატელეფონო/ინტერნეტ სერვისების შეწყვეტა;
   - ძირითადი აღჭურვილობების/ტექნიკური მოწყობილობების ნაკლებობა;
   - ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობა (კლიენტთა სერვერი/საიტი);
   - მონაცემთა მიუწვდომლობა/განადგურება.

   გ) სამართლებრივი და ფინანსური;

   - ჯარიმები და პირგასამტეხლოები;
   - გადასახადები;
   - შემოსავლების/დაფინანსების ნაკლებობა;
   - ტექნიკური მოწყობილობების/აღჭურვილობების/ინვენტარის გამოცვლა და სხვა ხარჯი;

- სამართლებრივი დავები;
- ხელშეკრულებების დარღვევა;
- გაუთვალისწინებელი ხარჯი.

დ) სტრატეგიული და რეპუტაციული.

- სტუდენტთა შემცირებული ჩარიცხვები;
- ავტორიზაციის/აკრედიტაციის გაუქმება;
- ნდობის დაკარგვა;
- ნეგატიური მედია გამოხმაურებები.

**მუხლი 8. რისკების შეფასება**

| რისკი | ხდომილების ალბათობა (მაღალი, საშუალო, დაბალი) | გავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე (მაღალი, საშუალო, დაბალი) | გავლენა სტუდენტებზე (მაღალი, საშუალო, დაბალი) |
|---|---|---|---|
| **ოპერატიული ბიზნესრისკები** | | | |
| **სასწავლო აუდიტორიების, აღჭურვილობების, სასწავლო რესურსების დაზიანება/განადგურება/დაკარგვა** | | | |
| სასწავლო აუდიტორიები | დაბალი | საშუალო | საშუალო |
| კომპიუტერული აღჭურვილობები, მუსიკალური ინსტრუმენტები | დაბალი | დაბალი | საშუალო |
| შენობა | დაბალი | მაღალი | საშუალო |
| ხმის ჩამწერი სტუდია | დაბალი | საშუალო | საშუალო |
| **დასაქმებულთა არყოფნა (გათავისუფლების, შრომითი ურთიერთობების შეჩერების, გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო)** | | | |
| აკადემიური პერსონალი | დაბალი | მაღალი | მაღალი |
| მოწვეული პერსონალი | დაბალი | საშუალო | მაღალი |
| ადმინისტრაციული პერსონალი | დაბალი | მაღალი | საშუალო |
| დამხმარე პერსონალი | დაბალი | საშუალო | დაბალი |

| | | | |
|---|---|---|---|
| **კომუნალური მომსახურებების შეწყვეტა (ელექტროენერგია, გათბობა, კონდენცირება, წყალი);** | | | |
| ელექტროენერგია | დაბალი | საშუალო | საშუალო |
| გათბობა | დაბალი | საშუალო | საშუალო |
| კონდენცირება | დაბალი | საშუალო | დაბალი |
| წყალმომარაგება | დაბალი | საშუალო | საშუალო |
| **ძირითადი მასალების განადგურება/მოძიების შეუძლებლობა** | დაბალი | მაღალი | საშუალო |
| **ტექნოლოგიური ბიზნესრისკები** | | | |
| **სატელეფონო/ინტერნეტ სერვისების შეწყვეტა** | | | |
| სატელეფონო სერვისები | საშუალო | საშუალო | დაბალი |
| ინტერნეტ სერვისი | დაბალი | საშუალო | დაბალი |
| **ძირითადი აღჭურვილობის/ტექნიკური მოწყობილობების ნაკლებობა** | | | |
| ძირითადი აღჭურვილობა | დაბალი | მაღალი | მაღალი |
| ტექნიკური უზრუნველყოფა | დაბალი | მაღალი | მაღალი |
| **ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფის ნაკლებობა (კლიენტთა სერვერი/საიტი)** | დაბალი | მაღალი | საშუალო |
| **მონაცემთა მიუწვდომლობა/განადგურება** | დაბალი | მაღალი | მაღალი |
| **სამართლებრივი და ფინანსური ბიზნესრისკები** | | | |
| **ჯარიმები და პირგასამტეხლოები** | | | |
| ადმინისტრაციული ჯარიმები | დაბალი | მაღალი | საშუალო |
| საგადასახადო ჯარიმები | დაბალი | მაღალი | მაღალი |
| სხვა | დაბალი | საშუალო | საშუალო |
| **გადასახადები** | დაბალი | მაღალი | საშუალო |
| **შემოსავლების/დაფინანსების ნაკლებობა** | | | |
| შემოსავლების/ სწავლის გადასახადის ნაკლებობა | საშუალო | მაღალი | საშუალო |
| გრანტების/დაფინანსებების/პროექტების ნაკლებობა | საშუალო | მაღალი | მაღალი |
| **ტენიკური მოწყობილობის/აღჭურვილობის/ინვენტარის გამოცვლა და სხვა ხარჯი** | | | |
| ტექნიკური უზრუნველყოფა | საშუალო | მაღალი | საშუალო |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამული უზრუნველყოფა | საშუალო | მაღალი | დაბალი |
| საოფისე ინვენტარი | საშუალო | მაღალი | დაბალი |
| **სამართლებრივი დავები** | დაბალი | მაღალი | დაბალი |
| **ხელშეკრულების დარღვევა** | | | |
| ტექნიკური მომსახურება | დაბალი | მაღალი | საშუალო |
| საგანმანათლებლო მომსახურება | დაბალი | მაღალი | მაღალი |
| **გაუთვალისწინებელი ხარჯი** | საშუალო | საშუალო | საშუალო |
| **სტრატეგიული და რეპუტაციული ბიზნესრისკები** | | | |
| **სტუდენტთა შემცირებული ჩარიცხვები** | საშუალო | მაღალი | საშუალო |
| **ავტორიზაციის/აკრედიტაციის გაუქმება** | | | |
| აკრედიტაციის გაუქმება | დაბალი | მაღალი | მაღალი |
| ავტორიზაციის გაუქმება | დაბალი | მაღალი | მაღალი |
| **ნდობის დაკარგვა** | დაბალი | მაღალი | მაღალი |
| **ნეგატიური მედია გამოხმაურებები** | საშუალო | მაღალი | მაღალი |

| რისკი | პრევენციული ქმედება | მოცდენის პერიოდი | პასუხისმგებელი ერთეული/პირი | ქმედება | შეფასება |
|---|---|---|---|---|---|
| **ოპერატიული ბიზნესრისკები** | | | | | |
| **სასწავლო აუდიტორიების, აღჭურვილობების, სასწავლო რესურსების დაზიანება/განადგურება/დაკარგვა** | | | | | |
| სასწავლო აუდიტორიები | ყოველკვირეული შემოწმება | 1 დღე | სამეურნეო და შესყიდვების სამსახური, დეკანი | სასწავლო აუდიტორიის ხელმისაწვდომობა | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დეკანი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კომპიუტერული ტექნიკა | ყოველკვირეული შემოწმება | 1 დღე | საინფორმაციო ტენოლოგიების სამსახური | კომპიუტერული ტექნიკის ხელმისაწვდომობა | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დეკანი |
| ადმინისტრაციული შენობა | შემოწმება ყოველ 2 წელიწადში | 2 დღე | სამეურნეო და შესყიდვების სამსახური, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი | ადმინისტრაციული შენობის ხელმისაწვდომობა | რექტორი |
| ბიბლიოთეკა/ფონოთეკა | ყოველთვიური შემოწმება | 1 დღე | ბიბლიოთეკა/ ფონოთეკა, სამეურნეო და შესყიდვების სამსახური, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი | ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობა | რექტორი |
| ხმის ჩამწერი სტუდია | ყოველკვირეული შემოწმება | 1 დღე | ხმის ჩამწერი სტუდიის ტენიკური მენეჯერი | სტუდიის ხელმისაწვდომობა | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი |
| მუსიკალური ინსტრუმენტები | ყოველკვირეული შემოწმება | 1 დღე | ბიბლიოთეკა/ ფონოთეკა, სამეურნეო და შესყიდვების სამსახური | ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა | რექტორი |
| **დასაქმებულთა არყოფნა (გათავისუფლების, შრომითი ურთიერთობების შეჩერების, გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო)** | | | | | |
| | აკადემიური | 5 დღე | ადამიანური რესურსების | დროებით | რექტორი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აკადემიური და მოწვეული პერსონალი | წახალისება, სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ პრობლემებზე სწრაფი რეაგირება | | მართვისა და საქმისწარმოების სამსახური | ჩანაცვლება, ვაკანსიის გამოცხადება | |
| ადმინისტრაცია და ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი | წახალისება, დაწინაურება, სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ პრობლემებზე სწრაფი რეაგირება, ანაზღაურებადი უქმე დღეები, ინდივიდუალური მოქნილი სამუშაო | 3კვირა | ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური | დროებითი ჩანაცვლება, ვაკანსიის გამოცხადება | რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი |
| **კომუნალური მომსახურებების შეწყვეტა (ელექტროენერგია, გათბობა, კონდენცირება, წყალი);** | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ელექტროენერგია | უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის სადენების ყოველ 4 წელიწადში ერთხელ შემოწმება | 5 დღე | სამეურნეო და შესყიდვების სამსახური | ელექტროენერგიის დამოუკიდებლად უზრუნველყოფა. გენერატორი | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი |
| გათბობა | გათბობის სისტემის ყოველწლიური შემოწმება | 1 დღე | სამეურნეო და შესყიდვების სამსახური | გათბობის უზრუნველყოფა | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი |
| კონდენცირება | კონდენცირების სისტემის ყოველწლიური შემოწმება | 2 დღე | სამეურნეო და შესყიდვების სამსახური | კონდენცირების უზრუნველყოფა | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი |
| წყალმომარაგება | უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მილების შემოწმება ყოველ სამ თვეში | 1 დღე | სამეურნეო და შესყიდვების სამსახური | წყლის უზრუნველყოფა | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი |
| **ძირითადი მასალების განადგურება/მოძიების შეუძლებლობა** | | | | | |
| არქივი | ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება შემოწმება | 4 დღე | ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური | აღდგენა | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მიმდინარე დოკუმენტაცია | საქაღალდეებში თემატური განაწილება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა | 2 დღე | ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური | აღდგენა/ახლის მომზადება | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი |
| **ტექნოლოგიური ბიზნესრისკები** | | | | | |
| სატელეფონო სერვისები | ყოველსემესტრული შემოწმება | 3 დღე | საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, სამეურნეო და შესყიდვების სამსახური | სატელეფონო სერვისის ხელმისაწვდომობა | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი |
| ინტერნეტსერვისი | შემოწმება | 24 საათი | საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური | ინტერნეტის სერვისის ხელმისაწვდომობა | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი |
| **ძირითადი აღჭურვილობის/ტექნიკური მოწყობილობების ნაკლებობა** | | | | | |
| ძირითადი აღჭურვილობა | განახლებები, ანტივირუსი | 24 საათი | საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური | სათადარიგო მოწყობილობები | ადმინსტრაციის ხელმძღვანელი |
| ტექნიკური უზრუნველყოფა | მუდმივი გაწმენდა, გაგრილება | 24 საათი | საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური | სათადარიგო მოწყობილობები | ადმინსტრაციის ხელმძღვანელი |
| **ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფის ნაკლებობა (კლიენტთა სერვერი/საიტი)** | ყოველკვირეული შემოწმებ Backup | 24 საათი | საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური | Back UP | ადმინსტრაციის ხელმძღვანელი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **მონაცემთა მიუწვდომლობა/განადგურება** | ყოველკვირეული შემოწმება Backup | 5 დღე | საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური | Back UP | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი |
| **სამართლებრივი და ფინანსური ბიზნესრისკები** | | | | | |
| **ჯარიმები და პირგასამტეხელოები** | | | | | |
| ადმინისტრაციული ჯარიმები | შესრულებულ სამუშაოზე კონტროლის გაძლიერება | 4 დღე | ფინანსური უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი | დამატებითი რესურსების მოძიება | რექტორი, სამეთვალყურეო საბჭო |
| საგადასახადო ჯარიმები | აუდიტორებთან კონსულტაცია | 6 თვე | ფინანსური უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი | დამატებითი რესურსების მოძიება | რექტორი, სამეთვალყურეო საბჭო |
| სხვა | | 3 თვე | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფინანსური უზრუნველყოფის სამსახური, | დამატებითი რესურსების მოძიება | რექტორი, სამეთვალყურეო საბჭო |
| **გადასახადები** | ეფექტური მექანიზმების გამოყენება | 1 კვირა | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფინანსური უზრუნველყოფის სამსახური | დამატებითი რესურსების მოძიება | რექტორი, სამეთვალყურეო საბჭო |
| **შემოსავლების/დაფინანსების ნაკლებობა** | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სწავლის გადასახადის ნაკლებობა | გადახდის პროცედურის მუდმივი მონიტორინგი | 1 თვე | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფინანსური უზრუნველყოფის სამსახური | დამატებითი რესურსების მოძიება | რექტორი |
| კონტრაქტორებისგან შემოსავლების ნაკლებობა | რეგულარული კონტაქტები | 1 წელი | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფინანსური უზრუნველყოფის სამსახური | დამატებითი რესურსების მოძიება | რექტორი |
| გრანტების/დაფინანსებების/პროექტების ნაკლებობა | პროექტების რიცხვის ზრდა | 18 თვე | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფინანსური უზრუნველყოფის სამსახური | დამატებითი რესურსების მოძიება | რექტორი |
| **ტექნიკური მოწყობილობის/აღჭურვილობის/ინვენტარის გამოცვლა და სხვა ხარჯი** | | | | | |
| ტექნიკური უზრუნველყოფა | UPS, ჰაერის კონდიცირება, სემესტრული შემოწმება | კვირები | ფინანსური უზრუნველყოფის სამსახური, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური | დამატებითი რესურსების მოძიება | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი |
| პროგრამული უზრუნველყოფა | განახლებები, ანტივირუსი | კვირა | ფინანსური უზრუნველყოფის სამსახური, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური | დამატებითი რესურსების მოძიება | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საოფისე ინვენტარი | სემესტრული შემოწმება | კვირები | ფინანსური უზრუნველყოფის სამსახური,ადმინისტრაციის ხელმძღვანელი | დამატებითი რესურსების მოძიება | რექტორი |
| **სამართლებრივი დავები** | ვალდებულების დროულად, ჯეროვნად შესრულება | კვირები | იურიდიული სამსახური, რექტორი | შესაბამისად მოქმედება | რექტორი |
| **სტრატეგიული და რეპუტაციული ბიზნესრისკები** | | | | | |
| სტუდენტთა შემცირებული ჩარიცხვები | ბაზრის კვლევა, PR აქტივობები, პროგრამების განახლება, კვალიფიციური ადამიანური რესურსების განახლება | 1 სემესტრი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანი, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, | PR აქტივობები, პროგრამების შეფასება, სიტუაციის ანალიზი, გაუმჯობესება | რექტორი |
| **ავტორიზაციის/აკრედიტაციის გაუქმება** | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აკრედიტაციის გაუქმება | სტანდარტებთან შესაბამისობა | 12 თვე | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანი | სტუდენტების მობილობის წესით გადასვლა, საგანმანათლებლო პროგრამის განახლება | რექტორი |
| ავტორიზაციის გაუქმება | სტანდარტებთან შესაბამისობა | 12 თვე | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რექტორი | სტუდენტების მობილობის წესით გადასვლა, ავტორიზაციისთვის განაცხადის შეტანა | რექტორი |
| ნდობის დაკარგვა | მაღალი ხარისხისა და რეპუტაციის შენარჩუნებაზე ზრუნვა | 6 თვე | მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მენეჯერი | PR აქტივობები, საპასუხო ქმედებები | რექტორი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნეგატიური მედია გამოხმაურებები | რეგულარული კონტაქტი მედიასთან | 1 დღე | მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მენეჯერი | საპასუხო ქმედებები | რექტორი |